ხუთშაბათი, 1918 წ. ივნისის 7 № 104
ყოველდღიური გაზეთი

ხუთშაბათი, 1918 წ. ივნისის 7 № 104
ფ ა ს ი 20 კ ა პ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე დ ა ქ ც ი ა.

**საგაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

**რედაქცია ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კ ა ნ ტ ო რ ა.

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 8 მ., 1 საათს შემდეგ 10 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** Кутаисъ, поч, ящикъ № 39. **ტელეფონი № 76.**

თავადი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე და ძე მისი ჯუმბერი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ შაბათს რვა ივნისს (ახალი სტ.), ქუთაისის საკათედრო ტაძარში მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ქუთათელ მიტროპოლიტისაგან შესრულებულ იქნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის პირველის მეუღლის და უკანასკნელის დედის კნეინა

მარიამ ირაკლი ლორთქიფანიძის ასულის

სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყება დილის ათ საათზე. 2—1

## ქუთაისის და პროვინციის ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა **უკანასკნელათ** აფრთხილებს ხელის მომწერთ, რომ ვინც **ივნისის** 7 (ქუთაისისთვის) და **ივნისის** 10 (პროვინციისთვის) არ შემოიტანს ხვედრ ფულს, შეეწყვიტებათ გაზეთის გზავნა.

## ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისა

აცხადებს, რომ ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება დანიშნულია ქ. ქუთაისში ბანკის შენობაში მდგომარე წლის 9 ივნისს ახალი სტილით (27 მაისს ძველი სტილით) დილის 11 საათზე, თანახმათ § 89-ში მოთავსებული შენიშვნისა, კრება კანონიერად ჩაითვლება, მიუხედავათ კრებაზე გამოცხადებულ ბანკის რწმუნებულთა რაოდენობისა.

**კრებაზე განსახილველია:** 1. 1917 წლის ანგარიში და მოხსენებანი ზედამხედველი კომიტეტისა, გამგეობისა და დამფასებელი კომისიისა. 2. გამგეობის მოხსენება შესახებ 1917 წლის მოგების განაწილებისა. 3. ბანკის მოსამსახურეთა საპენსიო კასის ანგარიში. 4. შეცვლა და შევსება ბანკის წესდების ზოგიერთ პარაგრაფისა. 5. ზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობის შეერთებული კრების მოხსენება შესახებ ბანკისთვის საკუთარი ბინის აშენებისა. 6. 1918 წლის ხარჯთაღრიცხვა. 7. თანამდებობის პირთა არჩევა. 3—3

## განცხადება.

### ნ. ლომსიანიძის და გოცირიძის

საამხანაგო სავაჭრომ ამ დღეებში მიიღო დიდძალი „საბაკალეინო“

# საქონელი

და სამარხვო **ზეთი**

რომელსაც აწვდიან პარტიობით ადგილობრივ და პროვინციების მომხმარებელ საზოგადოებებს დათმობილ ფასებში. მისამართი: მიხეილის ქუჩა, გოკიელის სახლი. (თვ.)

ექიმი **ივ. ბოკერიას** ხირურგიული და გინეკოლოგიური საავათმყოფო მოსალოგინებელი განყოფილებით გაიხსნა და დასაწოლი ავათმყოფების მიღებაც განახლდა.
მიხეილის ქუჩა, წითელ ხიდთან, ქალაქის გამგეობის პირდაპირ. 31—თ.

იყიდება ავეჯი სარაჯიშვილის (პოლიციის) ქუჩა, ჯანოევის სახლი, დელუსტოვთან. 2—2

## მადლობელი გახლავართ!

ჩვენი,—თუ შეიძლება ასე ითქვას—ექსტერიტორიალური „სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის“ ქუთათური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ (№ 334)—გვაკვეხის: საქართველო ჩვენ გადავარჩინეთ დაღუპვისაგანაო.

გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ ასეთი დევ-გმირობისათვის. იმედია საქართველო არ დაივიწყებს მათს ამაგს და ოქროს ასოებით აღნიშნავს მათს ღვაწლს თავის ახალ ისტორიაში, მაგრამ სხვისი დაწიხვლა და საკუთარი ცოდვების სხვაზე გადატანა, გვგონია, საკვეხური არ უნდა იყოს!..

წავიდა ის დრო, როცა ჩვენში მომქმედი „სოციალისტური და რევოლუციური პარტიები“ ოთურმას თამაშობდენ და თავისი მოქარგულის ენით ხალხს აბრუებდენ. ახლა დროა პირდაპირ შევხედოთ სინამდვილეს თვალებში და თამამად ვაღიაროთ ჩვენი შეცდომანი...

პირველი და ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები ლაპარაკობდენ და მოქმედებდენ „რუსეთის“ სახელით. ამ სახელმა და, თუ გნებავთ სახრავმაც, ისეთი ნაყოფი გამოიღო, რომ დღეს მათს მიმდევარ ქართველ დემოკრატიას დაავიწყდა თავისი თავი და როცა მტერი მის სამშობლო მიწა-წყალზე შემოჭრიდა,—ყურიც არ გაუბერტყნია... შვიდ რვა ათასმა ქართველმა ვაჟკაცმა ზურგი უჩვენა ორიათასს თათართა ბრბოს და საქართველოს დიდება—ბათომი მიუტოვა...

ჩვენ არ გვინდა მთელი ბრალი ამ სამარცხვინო მოვლენისა ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს მოვახვიოთ თავზე,—ვინაიდგან აქ მოქმედებდა **მთელი შედეგი** რუსეთის გამხრწნელ პოლიტიკისა, ასი წელიწადი რომ ასე ვერაგულად სწარმოებდა ჩვენში, მაგრამ არ შეგვიძლია არ ვიკითხოთ, გამოიჩენდა ასეთს სიმხდალესა და სულმდაბლობას ჩვენი ჯარი—**აკაკისა და ილიას აზრებზე რომ ყოფილიყო აღზდილი?**

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ არ გამოიჩენდა, ვინაიდგან სიყვარული მამულისადმი სასწაულთ მომქმედი ყოფილა და არის!

მერე ვინ სდევნიდა სისტემატიურად ილია—აკაკის სკოლას? ვინ გახადა სამასხარაოდ ეროვნული გრძნობა და ვინ დაუქვემდებარა გრძნობა იგი წმინდა და უანგარო კუჰის მრწამსს?..

ვინ ჩამოაფარა ფარდა საქართველოს წარსულსა და აწმყოს შორის, ვინ ჩახერგა იგი კედელითა გაუვალითა და ვინ წაჰკიდა, ვინ აამხედრა ძმა ძმაზე?

ვინ შეჰქმნა უფსკრული საქართველოში არსებულ ჯგუფთა შორის და ვინ შეაძულა ხალხს ეროვნული ინტელიგენცია?

ვინ იყო ის საარაკო ნაცარ-ქექია დღე და ღამ რო გაიძახოდა:—აქედ გორასა წიხლსა ვკრავ და იქით გორას ძვრას ვუზამო, მაგრამ მთა კი არა, თავისი თავიც ველარ დასძრა?

ვინ არის ის საზღაპრო არსება, რომელიც მთელო ქვეყნის მშიერ-მწყურვალებს მოუწოდებდა, გაბედნიერებას ჰპირდებოდა და თავის ქვეყნის საუკეთესო მიწა წყალი-კი მტერს მიუტოვა? ამ კითხვებზე დაე პასუხი გასცეს გულმართალმა და სამართლიანმა მკითხველმა და ჩვენ კი აღვნიშნავთ მეორე დიდსა და მიუტოვებელ შეცდომას... არა! შეცდომას კი არა—განზრახ და საგანგებოდ შეთხზულ-შეკოწვილ სისტემას ჩვენი სოციალ-დემოკრატებისას ეროვნულ ნიადაგზე მდგომ მუშაკთა დევნის საქმეში...

ამ სისტემამ ისე გააბრუა ქართველი მშრომელი ხალხის დიდი ნაწილი, რომ დღესაც ვერ გამორკვეულა და სრულიად ბუნებრივი მოვლენა—საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადება—უბედურებათა და იძულებით აქტად მიაჩნია, რასაც ნიანგის ცრემლებს აფრქვევენ ჩვენი სოციალ დემოკრატების გაზეთები.

იმის მაგივრად, რომ პირდაპირ და გაბედვით აღიარონ თავისი პრინციპების სრული გაკოტრება, იმის მაგივრად, რომ ვაჟკაცურად სთქვან: ჩვენ დავმარცხდით და ეროვნულმა იდეამ გაიმარჯვაო, ჩვენი სოციალ დემოკრატები თავის მიმდევრებს კვლავ ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებენ და თავის ცოდვებს ჩვენ—ეროვნულ იდეის მატარებლებს—გვახვევენ თავზე.

ჩვენ არ ვიძახით, რომ ჩვენ შორის არ ერიოს რამდენიმე კაცი მაინც, რომელიც ბოროტად არა სარგებლობდეს ეროვნულის იდეით, ისე როგორც ბევრი ბოროტად სარგებლობს მარქსიზმითაც, მაგრამ ეროვნული იდეა რომ ერთად ერთი გზაა გაბედნიერება—განკაცებისაკენ ამას დღევანდელი ამბებიც გვიჩვენებს...

ქრისტიანობამ დაანგრია **რომის** იმპერია, მარქსიზმა—კი რუსეთის... ვერავითარმა ძახილმა „პროლეტარებო მთელის ქვეყნისა, შეერთდითო,—ვერ იხსნა რუსეთი დაღუპვისაგან და ვერავითარი ცილისწამება ეროვნულ იდეაზე—ვერ იხსნის ჩვენებურ სოციალ დემოკრატებს გაეროვნებისაგან. დღეს თუ არა ხვალე მაინც დაირქმევენ „ქართველ სოციალ დემოკრატებს“—სულ ხო ასე არ იქნებიან ცასა და დედა მიწის შუა ჩამოკიდებულნი!—და ეს კი იმას ნიშნავს რომ მართალნი ვყოფილვართ ჩვენ და არა „**რუსეთის** მუშათა სოციალ დემოკრატიული პარტია“.

ეს იმას ნიშნავს, რომ ცხოველ მყოფელი არის იდეა ეროვნული და არა იდეა „**რუსეთის** სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიისა“.

ეს იმას ნიშნავს რომ ჩვენმა სოციალ დემოკრატებმა უნდა წაშალონ ამდენი ხნის ნამოღვაწევი და დაადგენ ეროვნულ ნიადაგს.

მაშ, რაღას გვიკიჟინებენ ან აქამდე და ან ახლა?..

მაგრამ მეტი რაღა დარჩენიათ, თუ არა სიტყვების კორიანტელითა და სხვის აუგათ ხსენებით—თვისი აფუმე არ დამალონ?..

გვაკვეხიან: საქართველო ჩვენ შევინახეთ, თორემ თქვენ დაღუპავდითო...

მადლობელი გახლავართ, მაგრამ ნუ თუ ახლაც არა ხედავთ, რომ საქართველო შეინახა ეროვნულმა იდეამ და საქართველოს დაიხსნის საქართველოვე და არა მარსზე რკინის გზის გაყვანა?..

მაშ იყუჩეთ. ბატონებო, და ყველა ერთად ვემსახუროთ ჩვენს ტურფა სამშობ-

ლოს, რომელსაც პირდაღებული მგლებივით შემოჰყურებენ თქვენგან ნალოლიავები, მაგრამ თქვენი უარის მყოფელი რუს-თათარ-სომეხთა „პროლეტარ—დემოკრატები“.

**იხევ ის.**

# პრესა.

**გაზ. „საქართველო“** ეხება იმ მოვლენას თუ რამდენი საშინელება გამოსცადა ჩვენმა ქვეყანამ ამ უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში, როგორც გარეშე მტერთა შემოსევისაგან ისე შინაური არეულობით და სწერს:

ჩვენი ეროვნული სხეული თითქოს სავსებით დაიშალა. თითეული მისი ნაწილი თითქოს აღარც კი განიცდის მეორეს სიახლოვეს და საჭიროებას. ბათომის დრამა სათანადოდ არ უგრძნია საქართველოს სხვა კუთხეებს, ქართლს თუ კახეთს. მათ თავის ანარქია აქვთ, თავის გასაჭირი და უბედურობა. ეროვნული ცხოვრება ერთმანეთთან შეკავშირებულ და შეერთებულ ნაწილებიდან უნდა შესდგებოდეს. ჩვენი ცხოვრების ეს შემაკავშირებული ჯაჭვები დღეს დაწყვეტილია. ეროვნული ერთეულის მთლიანობა იშლებოდა მთელი წლის განმავლობაში და რაც არ დაშლილა საბოლოოდ, იშლება დღესაც. და არ სჩანს ძალა, რომელიც შეეცდება ეროვნული სხეულის ნაწილების თავის მოყრას, შეერთებას. არ არის ძალა ორგანიული, ამ ცოცხალ ნაწილების ერთმანეთისაკენ მიმზიდველი, არ არის ძალა მექანიკური, რომ ეს რღვევა ძალით შეაჩეროს და ეროვნული ცხოვრება საბოლოოდ დაშლისაგან დაიფაროს.

და ეს არის სწორედ უდიდესი ეროვნული უბედურება, უსაშინელესი ეროვნული საფრთხე. ქართველ ერს ის კი არ ღუპავს, რომ მას ოსმალეთი შთანთქვას უპირებს, არამედ კიდევ უფრო ის, რომ ამ საფრთხის წინაშე საქართველო, თუმცა პატარაა და სუსტი მაგრამ მაინც ერი და ძალა, არ არის მთლიანი სულიერად, ხორციელადაც ის შესდგება მრავალი ნაწილებისაგან, რომელნიც ერთმანეთისაგან თითქო დამოუკიდებელნი არიან. მრავალი საბჭო, მრავალი პარტია, ჯგუფი და მრავალი გამდგარი თუ დამოუკიდებელი მაზრა და სოფელი: მას ჰყავს ცენტრი, გარეგნულად ყველა ძალების შემაერთებელი და შემთანხმებელი, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად. ეს მისი ცენტრი ვერ უყრის თავს ეროვნული ცხოვრების მთავარ ძალებს, ვინაიდან აქ არ არიან წარმოდგენილნი ის რეალი ძალები, რომელნიც ცხოვრებას ჰქმნიან, ან თუ არიან წარმოდგენილნი, მეტად სუსტად, უფეროულად, უარმყოფელ მიმდინარეობაში გათქვეფილი და განელებული. საქართველომ ჯერ ვერ შეჰქმნა ორგანო, რომელიც ხელში დაიჭერს მისი ცხოვრების ყველა მთავარ ძაფებს და რომელიც აამოძრავებს და აამოქმედებს ერთმანეთზე გადაჯაჭვულს ეროვნულ სხეულს.

---

არა სასურველმა ზავმა ჩვენ ხელიდან გამოგვტაცა ახალციხის და ახალქალაქის მაზრები. ამ მაზრების დაკარგვით საქართველოს კიდევ ერთი ლახვარი ჩაესო. გაზეთი „ერთობა“ ახასიათებს თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ მაზრებს ჩვენთვის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხრით და განაგრძობს!:

მაგრამ ამ ორი მაზრის მთავარი მნიშვნელობა მარტო ამაში როდია. მათ აქვთ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა. ახალციხე საკმაოდ ძლიერი სიმაგრეა, ის გასაღებია ბორჯომის ხეობის. ვისაც ახალციხე და ახალციხის მაზრა უჭირავს, მას შეძლება აქვს, რამდენიმე საათში ჩავიდეს ბორჯომში და იქიდან ხაშურის შემწეობით რკინის გზას დაეპატრონოს, ხაშურიდან კი რამდენიმე საათის სავალია სურამის მთის გვირაბამდე. ახალციხის მხარეშია აგრეთვე მშვენიერი საავარაკო ადგილი აბასთუმანი საიდანაც მტერს შეუძლია ზეკარის უღელტეხილს დაეპატრონოს და შემდეგ ბაღდადით ქუთაისს მიადგეს. ერთის სიტყვით, ახალციხის მაზრის ხელში ჩაგდებით ოსმალეთი მთელი საქართველოს ბედის ბატონი იქნება.

ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ახალქალაქსაც. აქედან მშვენიერი გზა მოდის მანგლისით ტფილისზე. საკმაოა მტერს ახალქალაქი ეჭყრას ხელთ, რომ ის რამდენიმე დღის განმავლობაში ტფილისს მოადგეს. არავითარი დამაბრკოლებელი ბუნებრივი ზღუდე ახალქალაქ-ტფილისს შუა არ არსებობს.

გარდა ამისა ახალქალაქს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ეს კუთხე იგივეა ჩვენთვის, რაც ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი ადგილები რუსეთისთვის, მარტო ახალქალაქის მაზრას შეუძლიან მოიყვანოს იმდენი პური, რამდენიც მთელ საქართველოს გამოსაკვებად საკმაო იქნება.

# ტერიტორიის აღდგენა და შესწორება.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ცნობა მიიღო, რომ აღერბეიჯანისა და სომხეთის ეროვნულ საბჭოს, ოსმალეთის მთავრობასთან მოლაპარაკება აქვთ შესახებ იმისა რომ მათი ტერიტორია აღდგენილ და შესწორებული იქმნეს. ამის გამო მთავრობამ დაადგინა: ეცნობოს აღერბეიჯანისა და სომხების ეროვნულ საბჭოებს, რომ ამ საკითხის მოგვარება შეადგენს აღერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს მთავრობის კომპეტენციას რაც უნდა მოწესრიგდეს ოსმალეთის დამოუკიდებლად. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა მზად არის ამის შესახებ მოლაპარაკება გამართოს სომხებისა და აღერბეიჯანის მთავრობასთან. იმ შემთხვევაში თუ სომხისა და აღერბეიჯანის მთავრობამ რაიმე ხელშეკრულობა იქონია ოტომანის მთავრობასთან ტერიტორიის შესახებ ასეთ ხელშეკრულობას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა არას გზით არ მიიღებს და ანგარიშს არ გაუწევს.

# საქართველოს ეროვნულ საბჭოში.

**ახალი წევრები:**

საქართველოს ეროვნულ საბჭოში შედიან შემდეგი ახალი წევრები: ელიონისტებიდან: პ. საყვარელიძე, პ. ქავთარაძე, ი. გომართელი და შ. შარაშიძე. სოც. დემოკრატებისაგან ჰაიდარ-ბეგ-აბაშიძე, და ს. ფედერალისტებიდან ი. ბაქრაძის მაგივრად ა. ფალავა.

# უცხოეთი.

— გალიციაში ანტიებრაულმა მოძრაობამ თავი იჩინა, ამ მოძრაობას ხელმძღვანელობს პოლონეთის [illegible] „შავი ხელი“ ებრაელების დასარბევათ ხალხს მოუწოდებს.

— ლვოვის ქალაქის თვით მართველობამ გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიდაც პროტესტს აცხადებენ ცენტრალური სახელმწიფოებისადმი ქ. ლვოვის სურსათით უზრუნველყოფის გამო თხოულობენ პოლონეთის დეპუტატებისაგან ავსტრიის რეიხსტაგში საკითხი აღძრან რათა დამშეული რაიონში სურსათის რეკვიზიცია არ მოხდეს.

— მღელვარება პოლონეთის დიდ ქალაქებში ფართე ხასიათს ღებულობს. მცხოვრებლებს აღკრძალული აქვთ საღამოს 6 საათიდან ქუჩებში გამოვიდენ. 6 საათის შემდეგ ქუჩებში გამოსვლა შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებული ნებართვით, ქ. როდომის ყველა ქარხნებში ავსტრიელთა მთავრობამ დააყენა მხედრობის რაზმები.

# რუსეთი

**პურის რეკვიზიცია.** მოსკოვის მუშათა და გლეხთა საბჭოების პრეზიდიუმმა წინადადება მისცა მოსკოვის მაზრის საბჭოს საჩქაროთ შეადგინოს რაზმი, რომელიც გაემგზავრება პურის მოსავლიან გუბერნიებში. რაზმები იმუშავებს ადგილობრივ მთავრობასთან ერთად პურის რეკვიზიციის საქმის განსახორციელებლად.

— **კურსკის აღება.** უკანასკნელი ცნობით ქ. კურსკი გერმანელებმა აიღეს. ანტონოვის ჯარის დიდ ნაწილს იარაღი აჰყარეს.

— **რენნენკამპფის დახვრეტა.** ტაგანროგში დახვრიტეს ღენერალი რენნენკამპფი.

— **საბლერის განთავისუფლება.** მოსკოვში ციხიდან გაანთავისუფლეს, სინ—დის ყოფილი ობერ-პროკურორი—საბლერი.

# სახელმწიფოებრივი ცვლილება უკრაინაში.

**პატარა რადის უკანასკნელი სხდომა.**

27 აპრილის სხდომა.

ამხ. რაფესის სიტყვის შემდეგ, რომელიც ლაპარაკობდა მენშევიკების და ბუნდის სახელით, და რომლის წინადადება 1—2—3 ივნისს მოხდეს უკრაინის დამფუძნებელი კრების არჩევნები, მიღებული იქნა, კრება გადავიდა სხვა საკითხებზე.

სამხედრო მინისტრმა ატამან ჟუკოვსკიმ სთქვა, რომ გერმანელებმა ალყა შემოარტყეს ყაზარმებს და უკრაინელ ჯარის-კაცებს იარაღი აყარეს. ყაზარმებში ახლა გერმანელებია.

სამხედრო მინისტრის შემდეგ ილაპარაკა პრემიერ-მინისტრ გოლუბოვიჩმა. მან სთქვა, რომ გერმანელებმა უკრაინაში დაარღვიეს პირობები. გერმანელების ადგილობრივი მთავრობა გერმანიის ცენტრალურ მთავრობის პოლიტიკის წინაღმდეგ მიდის. თუმცა რეიხსტაგმა დაგმო გერმანელების მოქმედება უკრაინაში, მაგრამ ისინი მაინც თავისას განაგრძობენ. გოლუბოვიჩმა წინადადება შეიტანა, მიმართონ გერმანიის მთავრობას ნოტით, რომ შეაჩერონ გერმანელების ალვირ ახსნილობა უკრაინაში.

28 აპრ. სხდომა.

სხვა ორატორთა შორის, გამოდის ვინიჩენკო და რაფეი. რაფეის სხვათა შორის აღნიშნავს, რომ მენშევიკები და ბუნდი ტრაღიკულ მდგომარეობაში არიან. რაფესმა აგრეთვე გამოაქვეყნა გერმანელების ბრძანება პირველ მაისის უქმობის აკრძალვაზე.

**გერმანელ ჯარის-კაცების შემოსვლა.**

როცა ამხ. რაფესი სიტყვას ათავებდა, გაისმა ჯარის-კაცთა ფეხის ხმა. დარბაზის კარები გაიღო და გამოჩნდა გერმანელი ლეიტენანტი შეიარაღებული ჯარის-კაცებით.

— გერმანიის მთავრობის სახელით — ხმა მაღლა დაიძახა ლეიტენანტმა რუსულათ — ასწიეთ ხელი! ადგილიდან არ დაიძრათ!

რადას წევრებმა პრესის წარმომადგენლებმა და დამსწრე საზოგადოებამ ხმა შეუბრუნებლად ხელები ასწია. ხელები აეწიათ უკრაინის მინისტრებსაც.

მხოლოდ რადას თავმჯდომარე მ გრუშევსკი წყნარად იჯდა თავის სკამზე, გარეგნულათ აუღელვებელი და ხელები არ აეწია. მის სულიერ მღელვარებას გამოხატავდა მხოლოდ სისხლისაგან აწითლებული სახე.

შემოვარდნილი ჯარის კაცები დაიფანტენ დარბაზში და ხან ერთს აღერდენ რევოლვერს და ხან მეორეს. როცა პროფესორ გრუშევსკის დაადგენ თავზე რევოლვერით, გრუშევსკიმ უკრაინულათ სთქვა:

— გიცხადებთ პროტესტს ჯარის-კაცების დარბაზში შემოყვანის გამო.

— თქვენ ვინ ხართ? სიტყვა გააწყვეტია ლეიტენანტმა.

— მე ცენტრალურ რადის თავმჯდომარე ვარ, გრუშევსკი! უპასუხა გრუშევსკიმ.

— ჰო, გრუშევსკი?! სთქვა ლეიტენანტმა,

— მაშ მე აწი ლაპარაკი შემიძლია.

— ესა არის აქ სამხედრო მინისტრი ჟუკოვსკი, შინაგან საქმეთა მინისტრი ტკაჩენკო, მინისტრი კოვალევსკი და დეპარტამენტის უფროსი გაევსკი? ყვიროდა ლეიტენანტი.

სიჩუმე.

ტკაჩენრო, ჟუკოვსკი და კოვალევსკი დარბაზში არ აღმოჩნდენ.

— მე აქ ვარ! გაისმა მხოლოდ გაევსკის ხმა. ლეიტენანტის ბრძანებით გაევსკი დააპატიმრეს და დარბაზიდან გაიყვანეს.

— ახლა კი, დაიყვირა ლეიტენანტმა, ვისაც იარაღი აქვს, დაუყონებლივ წარმოადგინეთ. ვინც იარაღს დამალავს, სიკვდილით დაისჯება.

— მე პროტესტს ვაცხადებ პარლამენტის დარბაზში ჩხრეკის გამო! განაცხადა პროფ. მ. გრუშევსკიმ.

— დაუშვით ხელი! ბრძანა ლეიტენანტმა. ხელი ყველამ დაუშვა და გრუშევსკის მაგიდაზე იარაღი დაყარეს. რადას წევრები სათითაოდ მიდიოდენ გრუშევსკისთან და თანაგრძნობის ნიშნათ ხელს ართმევდენ.

ლეიტენანტის ბრძანებით რადის ყველა წევრები დააპატიმრეს.

— წინადადება მიეცით ხალხს დაიშალონ! უბრძანებს გრუშევსკის ლეიტენანტი.

— მე მაგას არ ვიზამ! უპასუხეს გრუშევსკი. მაშინ ლეიტენანტმა პირადათ მიმართა ხალხს დაშლილიყო დარბაზში რჩებიან გრუშევსკი და მდივანი ლენისენკო.

რადის დარბაზში დასტოვეს პატიმრათ გრუშევსკი. კარებთან გერმანელი ჯარის-კაცები დააყენეს.

**20 აპრილის სხდომა.**

დილიდანვე რადას დარბაზში ხალხმა თავი მოიყარა. გარეთ ხალხს აღელვება ეტყობა.

მიუხედავათ იმისა, რომ წინა დღით გერმანელებმა რადის წევრები დააპატიმრეს, რადა მაინც არსებობს.

სამ საათზე დარბაზში თავი მოიყარა რადის წევრებმა და ფრაქციათა საერთო კრება გამართეს.

**რადას დეპუტაცია.**

თათბირზე რადამ დაადგინა დეპუტაცია გაუგზავნონ გერმანიის ელჩს კიევში ბარონ მუმს. დელეგაციაში აირჩიეს გოლუბოვიჩი, პორში და კორნევსკი. დეპუტაციას დაევალა აცნობონ ყველაფერი მუმს და გააგონოს, გერმანიის ცენტრალურ მთავრობის განკარგულებით მოქმედებენ კიევში გერმანელები თუ არა და რა სურთ გერმანელებს. დეპუტაციას დაავალეს აგრეთვე, რომ თუ საჭირო იქნა განაცხადონ, რომ უკრაინის ახლანდელი სამინისტრო გადის მთავრობიდან.

**მცირე რადას სხდომა.**

დეპუტაციის წასვლის შემდეგ დაიწყო მცირე რადას სხდომა. თავმჯდომარეობს გრუშევსკი.

რადას წევრები ცოტაა. მინისტრთაგანი მხოლოდ სამია.

სხდომაზე გრუშევსკიმ განაცხადა:

—ღამეს 12 საათზე ჩემთან მოვიდა სამხედრო აგენტი შტოლცენბერგი და გამოკითხვა დამიწყო ცენტრალურ რადის უკანასკნელ სხდომის ამბავის. მე პროტესტი განუცხადე ამის გამო და შევეკითხე, თუ როგორ ავხსნათ გუშინდელი თავდასხმა? შტოლცენბერგმა მითხრა, რომ გუშინდელ ფაქტს დამოკიდებულება აქვს ბანკის დირექტორის დობრის დაკარგვასთან. გამოირკვა, რომ მთავრობის ზოგი წევრი სონაწილეობას ღებულობდა მის დამალვაში.

დღეს ჩემთან შემოვიდა კორპუსის შტაბის უფროსი, რომელსაც დავალებული ქონია დობრის საქმეს გამოკვლევა. მან განმიცხადა, რომ ბრძანებაა გაცემული დააპატიმრონ რამოდენიმე პირი. დარბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

— **დიდი მთავრინა ელისაბედ თევდორეს ასულის დაპატიმრება.** 8 მაისს საღამოს 11 საათზე მონასტერში, სადაც ელისაბედ თევდორეს ასული ბინადრობდა ავტომობილით მივიდა ლატიშთა რაზმის მსროლელები. რაზმის უფროსმა განაცხადა რომ იგი დიდი მთავრინა უნდა დაეპატიმრებიათ. ამ ამბავმა ბერები და მონაზვნები ძალზე აღელვა და განიზრახეს რაზმისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ. აღელვებული ბრბო შეიკრიბა აგრეთვე მეზობელი სახლებიდანაც, მაგრამ ისინი დაამშვიდეს, რომ დიდ მთავრინას არავითარი საფრთხე არ მოელისო.

დიდი მთავრინა მონასტრიდან სადგურამდის ავტომობილით წაიყვანეს რის შემდეგ სპეციალური მატარებლით ეკატერინბურგს გაგზავნეს.

## პროვინციის აგენტებს

გაზეთის ანგარიში ყველამ, მიუხედავათ იმისა რამდენი გაზეთი მიიღეთ, უნდა გაასწოროთ ივნისის პირველამდი (ახ. სტ.)

ანგარიშები და დარჩენილი გაზეთები გთხოვთ მალე მოგვაწოდოთ.

— —

**ივანოვის, ლევაშოვის, სარაჯიშვილისა (პოლიციის) და მწვანე ბაზრის გაზეთის ხელის მომწერლებს.**

რადგან ძველი დამტარებელი მოულოდნელათ ჯარში წაიყვანეს და ახლა ახალი დამტარებელია, ვთხოვთ ყველას, ვისაც გაზეთი არ მისდის ამ მიზეზის გამო, საჩქაროთ შეგვატყობინოს, რომ საშვალება მოგვეცეს გაზეთის წესიერათ დარიგებისა.

**გაზ. „ჩვ: ქვ.“ კანტორა.**

# ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

✦ **ნ. რამიშვილის გამგზავრება.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. რამიშვილი გუშინ ნატანებში ჩავიდა, საიდანაც ოზურგეთს გაემგზავრება.

✦ **ოსმალთა ჯარის გადაყვანა რკინის გზით.** 5 ივნისს ბათომიდან თბილისისაკენ გაიგზავნა ოსმალოთა ჯარის ორი ეშელონი. ოსმალთა ჯარი ვაგონებიდან არ გადმოდიოდენ. მათ თან მიყვებოდა ორი ოფიცერი.

✦ **ტყვეების გაგზავნა.** გუშინ ქუთაისიდან ბათომისაკენ გაგზავნეს ქუთაისის სადგურზე მყოფნი 500-მდე ტყვე ოსმალო ჯარის კაცები.

✦ **დემობილიზაციის შესახებ** ქუთაისის გუბერნიის კომისარს ჯარის დემობილიზაციის შესახებ ჯერ არავითარი ცნობა არ მიუღია. ჯარში გაწვევა ჯერჯერობით ძველი წესით მოხდება.

✦ **რკინის გზის დამცველი მილიცია.** ქუთაისის გუბერნიის კომისარს თბილისიდან რკინის გზის კომიტეტის თავმჯდომარე ატყობინებს, რომ რკინის გზის მილიცია აუცილებლად უნდა ემორჩილებოდეს სადგურის კომენდანტს. და უნდა მოხდეს მილიციის გადახალისება, რადგანაც მათ შორის ბევრი არა სასურველი პირები იმყოფება

✦ **პრაქტიკული კურსები.** დასავლეთ საქართველოს საშვალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირის გამგეობა აცნობებს „საზოგადოებას, რომ პირველი ივნისიდან ქუთაისის რეალური სასწავლებლის შენობაში დოც. მელიტონ კელენჯერიძის ხელმძღვანელობით გაიმართება კერძო პრაქტიკული კურსები ქართული ენისა ლიტერატურისა და ისტორიისა. კურსებით სარგებლობა შეუძლია ყველა მსურველს.

**მიწის რეფორმის გარშემო.** თბილისიდან ჩამოვიდენ მიწადმოქმედების სამინისტროს რწმუნებულნი ქარცივაძე და ტიმოფეევი, რომელთამაც უნდა მოაწესრიგონ აჯამეთის, ვარციხის და სხვა დიდი მამულების საქმე და მართვა გამგეობა. ხსენებულმა რწმუნებულებმა 5 ივნისს ინახულეს ვ. წულუკიძის მამულები.

✦ **მამისონის უღელტეხილი.** მამისონის უღელტეხილის დასათვალიერებლად გუშინ ქუთაისიდან გაემგზავრა სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე, წევრი და ერთი ინჟენერი. როგორც გადმოგვცემენ ამ უღელტეხილით სიმინდი უკვე გადმოაქვთ.

✦ **დაჭრა და დაპატიმრება.** 5 ივნისს, მწვანე ყვავილაში მილიცია დასაჭერათ თავს დაესხა ივანე ლომთაძეს, რომელსაც სხვადასხვა ბოროტმოქმედება ბრალდება. ლომთაძემ მილიციელებს სროლა აუტეხა. მილიციელებმაც სროლით უპასუხეს. სროლის დროს ფეხში დაიჭრა ლომთაძე. რის შემდეგაც იგი დააპატიმრეს და საგუბერნიო ციხეში მოათავსეს.

✦ **წარმოდგენა** დღეს 7 ივნისს ქალაქის თეატრში მარო მდივანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული დრამა „სამშობლო“.

✦ **ქუთაისის 1 ქართული** (ყოფილი სათავადაზნაურო) გიმნაზია აცხადებს: მე 8 კლასის მოსწავლეებმა აუცილებლათ დაუყოვნებლათ უნდა წარმოადგინონ: ა) სამ სამი თავისი სურათი, ბ) სიმწიფის მოწმობისათვის ოლქში წარსადგენათ ათ ათი მანეთი, ვ) სწავლის გადასახადი სრულათ, დ) საკითხავი წიგნები, ვისაც ჯერ კიდევ არ დაუბრუნებია. წინააღმდეგ შემთხვევაში სიმწიფის მოწმობას ვერ მიიღებენ.

✦ **გლეხებისადმი სამეურნეო იარაღების მიწოდება.** აგრანომი ი. ქუთათელაძის თავმჯდომარეობით 4 და 5 ივნისს გაიმართა თათბირი ქუთაისის გუბერნიის ღარიბ მეურნე გლეხების სასწრაფო სამეურნეო დახმარების შესახებ. თათბირს დაესწრენ ქუთაისის გუბერნიის აგრანომი ვ. ფალავანდიშვილი, მევენახეობის და მეღვინეობის უფროსი სპეციალისტი კ. ბჟრეკაშვილი, სენაკის მაზრის აგრანომი ხოპერია, ქუთაისის მაზრის აგრანომი ვ. კანდელაკი, ინსტრუქტორი ი. ბახტაძე და კ. კაკაბაძე. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა დაადგინა: გუბერნიაში დათესილი კანები სამეურნეო მანქანების სიმცირის და სიძვირის გამო დაუმუშავებელი, რომ არ დარჩეს სისწრაფით მოაწყონ სახელოსნოების საზოგადო ორგანიზაციები-ქუთაისში, სენაკში, ტყიბულში, ხონში სამტრედიაში, ჯიხაიშში და ლანჩხუთში, სადაც აგრანომების და ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით და მეთვალყურეობით დამუშავებული იქნება თოხები, რომლებიც დაურიგდება გლეხებს ხელმისაწდომ ფასებში. თათბირმა გარდა ზემო-აღნიშნულ საშვალებისა დაადგინა გაიგზანოს სპეციალურათ თბილისში კაცი, რომელიც სათანადო მთავრობის დახმარებით შეეცდება გამოძებნოს სიჩქარით ქუთაისის გუბერნიისათვის სათოხი მანქანები, რომლის საჭიროება ამ ჟამად დიდი და მიუცილებელია. გლეხებს შორის აგრეთვე განაწილებული იქნება თანაბრად ის სათოხი მანქანები, რომლებიც ამ ჟამად საერობო აგრონომიული ორგანიზაციის განკარგულებაშია.

✦ **ოსმალთა კომისიის ჩამოსვლა.** 5 ივნისს თბილისში ჩამოვიდა ოსმალეთის რკინის გზის კომისია საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზაზე ოსმალთა ჯარების გადაზიდვასთან დაკავშირებულ საკითხების გამოსარკვევად.

✦ **გ. ს. რცხილაძის წასვლა** 5 ივნისს სწრაფი მატარებლით ბათომს გაემგზავრა საზავო დელეგაციის წევრი გ. ს. რცხილაძე.

✦ **შემოწირულება.** საქ. დემოკრატიული პარტიის ქუთაისის წყალგალმა და სამაზრო კომიტეტი დიდ მადლობას სწირავენ ქ—ნ მარიამ სიმონის ასული დოლაბერიძისას, რომელმაც შემოწირა წყალგაღმა უბნის კომიტეტს 50 მან. სამაზრო კომიტეტს 50 მან. სულ 100 მანეთი.

✦ **უკრაინელთა კრება.** დღეს 7 ივნისს მუშათა საბჭოს დარბაზში დანიშნულია უკრაინელთა კრება.

## სასამართლოს გარშემო.

როგორც ეტყობა ქუთაისის სასამართლოში ბ. დავიდოვიჩის (ყოფილ ქუთაისის სასამართლოს თავმჯდომარის) პოლიტიკა ჯერ კიდევ არ გამქრალა.

რევოლუციამ ქუთაისის სასამართლოში წარმოშვა კავშირი სასამართლო მოლვაწეებისა და წესდების ძალით პერიოდიულად რჩება ხოლმე საზოგადო კრებები. ე. დავიდოვიჩს, როგორც ძველი მთავრობის მომხრე ადამიანს, გარეგნულად კი სოციალისტს, რასაკვირველია არ ეჭაშნიკებოდა საზოგადო კრებები. მისი წყალობის გამო შეადგინეს იმისთანა წესდება კავშირისა, რომლის გამო საზოგადო კრების მოწვევა ფერხდება ხოლმე. ამ წესდების ძალით საზოგადო კრება ითვლება კანონიერად მაშინ, როდესაც ესწრება კრებას არა ნაკლები ერთი მესამედი წევ-

---

ზიდან წაღებულ ქაღალდებს დაგვიბრუნებთო. მე ვუპასუხე, რომ მის განმარტებას მხედველობაში ვიღებ, მაგრამ დამაკმაყოფილებლათ არ ვსთვლი, რადგან პარლამენტის ხელშეუხებლობა დაარღვიეს.

გრუშევსკის განცხადება რადას წევრებმა სიჩუმით მოისმინეს.

**კონსტიტუციის პროექტი.**

ამის შემდეგ ცენტრალურ რადას თავმჯდომარის ამხანაგი არკ. სტეპანენკო საკანონმდებლო კომისიის სახელით აცხადებს უკრაინის კონსტიტუციის პროექტს. პროექტი მიღებულ იქნა ერთხმათ. მხოლოდ პირველ პარაგრაფის ხმის მიცების დროს თავი შეიკავა ამხ. ბისკმა (მენშევიკი), რაფესმა (ბუნდი) და პავლოვმა (მენშევიკი).

პირველი პარაგრაფი ამბობს, რომ უკრაინა სუვერენული და ყველასგან დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

რაფესმა განაცხადა, რომ მეოთხე უნივერსალის დროს უკრაინის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იყვენ. და ახლა თავი მხოლოდ იმიტომ შეიკავა, რომ „ბუნდის“ გადაწყვეტილება არ დაარღვიოს.

როცა კონსტიტუციის მთავარ პუნქტების განხილვას შეუდგენ, ბარომ მუმუსთან გაგზავნილი დელეგაცია დაბრუნდა. კრება შესწყდა. ბარონ მუმუს უთქვამს რომ გერმანელები სიმპატიურათ უყურებდენ რადას, მაგრამ მიწის სოციალიზაციის და სხვა რეფორმების გამოცხადების შემდეგ, მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყოს. მაშინ დელეგაციას უთქვამს რომ ახალი კაბინეტი მიწის რეფორმას გადასინჯავსო, რაზედაც ბარონ მუმუს გადაჭრით უპასუხნია — ყველაფერი ეს ახლა გვიან არისო.

იმავე ღამეს, კერძო ბინაზე ცენტრალურ რადას ქონდა თათბირი, სადაც გამოიტანეს მომხდარ გადატრიალების შესახებ რეზოლუცია.

**პურის მომყვანთა ყრილობა.**

ყრილობის თავში დასაწყისს დემოკრატიული ნაწილი სტოვებს დარბაზს და „დემოკრატ. პურის—მომყვანთა“ კრებას აძგენს.

**კისტიაკოვსკის მოხსენება.**

მოლოცვების შემდეგ ლაპარაკობს პროფ. კისტიაკოვსკი. ორატორი ამბობს, რომ არ შეიძლება გაუქმებულ იქნას კერძო საკუთრება მიწაზე იმ დროს, როცა მესაკუთრეთა უმრავლესობა გლეხობა. ასეთი კანონმდებელს არ ეწოდება სახალხო კანონმდებელიო.

ყრილობა ტაშის ცემით და ოვაციით აჯილდოებს ორატორს. ისმის ხმა: — არ გვინდა ასეთი კანონმდებელი! „ყრილობის წევრები სთხოვენ მომხსენებელს დაასახელოს კანონის ავტორი.

— ცენტრალური რადა! უპასუხებს მომხსენებელი.

ამ პასუხზე გაისმა კიჟინი და ყვირილი დარბაზში ათასობით მოგროვილ ხალხისა.

— ძირს ცენტრალური რადა! ძირს! შემდეგ კისტიანოვსკი აღნიშნავს, რომ მიწის სოციალიზაცია გელიკორუსული მოძღვრებაა, რომ ის დამღუპველია და ხალხის დამჩაგვრელია.

ყრილობის წევრები ხშირათ აწყვეტინებენ ორატორს სიტყვას და რადას წყევლა კრულვას უგზავნიან.

— ძირს რადა! ძირს ასეთი კანონმდებელნი! ხშირათ გაისმის ყვირილი.

კისტიაკოვსკის სიტყვის შემდეგ, რომელსაც ოვაციებით შეხვდენ, კრება მართავს კამათს დამოუკიდებელი კრების შესახებ. ორატორები წინადადებას იძლეოდენ არჩევნები არ დაემტკიცებიათ კამათის დროს შემდეგ ინციდენტს ქონდა ადგილი.

**ინციდენტი**

ყრილობის ერთმა წევრმა ასე დაიწყო სიტყვა: — „ამხანაგებო!“ ყრილობამ ეჭვი აიღო, რომ ორატორი სოციალისტია, გააწყვეტიეს სიტყვა და უყვიროდენ „—ახლა ამხანაგები აღარ არსებობენ,“ თავმჯდომარე ეცადა წესრიგი აღედგინა, მაგრამ კრება არ დაწყნარდა, სანამ ორატორი დარბაზიდან არ გააგდეს.

ერთმა ორატორმა წინადადება შემოიტანა რომ არჩევნები მხოლოდ ცენზის მიხედვით მოეხდინათ. რასაც კრება ოვაციებით შეხვდა.

მრავალი ორატორი ლაპარაკობს მიწის სოციალიზაციის შესახებ და ყველა აღნიშნავს, რომ ეს რეფორმა დამღუპველია ყველასათვის.

პროკოპენკო წინადადებას აძლევს ყრილობას დამოუკიდებელ კრებამდის აირჩიონ მთავრობა, ყრილობა ამ წინადადებას ზეიმით შეხვდა.

ეკატერინოსლავის გუბერნიის წარმომადგენელი ილიაშენკო ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს მთავრობა.

— რადა, ამბობს ორატორი, ეშმაკებს ჩაბარდა. ფრენდა ჩიტუნია, ცელქობდა ჩიტუნია, გაქრა ჩიტუნია. და რადგან მთავრობა აღარ არის, ჩვენ სხვას უნდა ვსთხოვოთ მფარველობა. კარგს ვიზამთ, თუ ამ შემთხვევაში გერმანელებს ვსთხოვ მფარველობას, ათავებს ორატორი.

ყრილობა იწონებს ამ წინადადებას. კუშნირი წინადადებას იძლევა აღადგინონ ცენზიანი ერობა.

ნ. კოვალენკო ეკითხება ყრილობას, რომელი მთავრობაა სასურველი?

ისმის ხმები:

— გეტმანი გეტმანი!

გამოთქვეს სურვილი შექმნან დიკტატორული მთავრობა, გეტმანის სახით.

**გეტმანის არჩევა.**

ლოჟაში ზის ამალით გარს შემორტყმული გენერალი პ. სკოროპადსკი. უკანასკნელს ოვაციები გაუმართეს და სთხოვეს სცენაზე ასულიყო.

თავმჯდომარე აცხადებს:

— სიტყვა ეკუთვნის ბრწყინვალე ბატონს გეტმან სკოროპადსკის!

სკოროპადსკი ამბობს უკრაინულ ენაზე პატარა სიტყვას, სადაც მადლობას უცხადებს არჩევნებისთვის და გამოსთქვამს იმედს, რომ უკრაინაში დაამყარებს წესრიგს.

პრეზიდიუმის წევრები და რამოდენიმე დელეგატი ეხვევიან სკოროპადსკის, კოცნიან, შემდეგ აყავთ ხელში და აქიანებენ.

შემოვიდა წინადადება სოფიის მოედანზე გადიხადონ პარაკლისი.

თავმჯდომარე ულოცავს კრებას ბრწყინვალე გამარჯვებას და წინადადებას იძლევა მიიღონ რეზოლუცია, რომელიც წინა დღით გამოიმუშავა გუბერნიათა წარმომადგენლების კომისიამ.

**რეზოლუცია.**

ი. დუსანი კითხულობს რეზოლუციის ტექსტს, რომელიც ერთხმათ მიიღეს.

1) მხოლოდ მიწის მესაკუთრეს შეუძლია მიწის გამოყენება, მისი დამუშავება და კარგი მოსავლის მიღება. ამიტომ ჩვენ ვთხოულობთ მიწაზე საკუთრება დაწესდეს.

2) სახელმწიფო დაინტერესებულია იმაში, რომ მიწა მესაკუთრეს ქონდეს. რადგან მიწის გამოყენება მხოლოდ მათ შეუძლიათ.

უკრაინის მთავრობის განკარგულება მიწის სოციალიზაციის შესახებ არ ეთანხმება უკრაინის გლეხთა ინტერესებს და

რებისა. მეორეჯერ თუ არ დაესწრო ზეაღნიშნული რიცხვი წევრებისა, კრება მაინც არ შესდგება წესდების ძალით. ასე რომ შესაძლებელია კრება არასოდეს არ შესდგეს. დედა მიწის ზურგზე ბევრი საზოგადოებები არსებობს თავისი წესდებით, მაგრამ ყოველ წესდებაში ისიც არის ნათქვამი, რომ, თუ მეორეჯერ არ დაესწრო კრებას საკმაო რიცხვი, იგი კანონიერათ ითვლება დამსწრებთა რიცხვის მიუხედავად.

23 მაისს დანიშნული იყო საზოგადო კრება, რომელზედ არ დაესწრო საკმაო რიცხვი და ამიტომ გადიტანილ იქნა 30 მაისს. მაგრამ ამის გამო არც იმ დღეს შესდგა კრება და ამ კრებასაც სდებენ. როდის შესდგება აწი კრება ვინ იცის, რადგანაც არ ვიცით, როდის არის დანიშნული შემდეგი კრება. კრების გადასადებ საბუთად ისიც მოიყვანეს, რომ დღეს არა ჩვეულებრივი-წყნარი დრო არისო, მაგრამ 30 მაისიდან დღემდის სიწყნარეს ვხედავთ ქუთაისში. თუ თოფების ბათქაბუთქის დროს იკრიბებოდა კრება, როდესაც ეს ბ. დავიდოვიჩს უნდოდა, 30 მაისს რატომ არ შეიძლებოდა კრების მოხდენა? და თუ არ ვცდები ამ დღეს დაესწრო იმდენი წევრები, რომ აჩოდენა წევრებით შემდგარა ხოლმე კრება. თვით კრება დილის ათ საათის მაგიერად გახსნეს პირველის ნახევარზე, ასე ზოგიერთებმა იცადეს იცადეს, და უკან დაბრუნდენ.

როგორ იცავენ თავისი ამხანაგების ინტერესს ვისგანაც ეს ჯერ არს, ეს იქიდან სჩანს, რომ ბ. დავიდოვიჩის გამო რამოდენიმე ქართველი დარჩა შტატს გარეშე, როდესაც სუხუმში სასამართლო გახსნეს. თვითონ კი დავიდოვიჩი და სხვა რუსი მოხელეები ქუთაისის სასამართლოდან, მშვენიერად მოეწყვენ სოხუმში. სხვათა შორის ამ ზოგიერთ, შტატ გარეშე ამხანაგების, მდგომარეობის გამო უნდა ყოფილიყო კრებაზე ლაპარაკი, მაგრამ ეტყობათ მათი მდგომარეობა მათ არ აინტერესებს... აასთანა მორიგ საკითხებისათვის, თავი რომ დავანებოთ დიდ საკითხებს, კრება უნდა შემდგარიყო. ამ კრების დღიურში იყო საკითხი, რომ სავალდებულოდ გაეხადათ ყველასთვის ფულის გადახთა მოხელეების კავშირის სასარგებლოდ. მე მგონია ამ კავშირის პირდაპირი მიზანი, როგორც რევოლუციონური ორგანოსი, არის თავისი წევრების ინტერესის დაცვა, როდესაც მათი უფლებები და ინტერესები შელახულნი არიან. ფულის გადახდა არის მხოლოდ საშვალება ამ მიზნის განახორციელებლად, მაგრამ ჩვენ ვხედავთ რომ საშვალება გადააქციეს მიზნად და პირადი მოვალეობა კი დავიწყებულია და ამით აიხსნება რომ ბ. დავიდოვიჩი თავისუფლად მოქმედობდა და ხედავდა ხოლმე.

უწინდელ კრებაზე ჩვენ გაგვიგონია ხოლმე და გვიწვევდენ მოქალაქობრივი გაბედულობისადმი მაგრამ ამ მოქალაქობრივი გაბედულობის უქონლობის გამო არის, რომ ბევრი არა სასურველი რამე მომხდარა ქუთაისის სასამართლოში.

**მოქალაქე:**

## ქართლში გადმოსავალი გზები კავკას. მთეზზე.

ქართლს (გორის მაზრა) ჩრდილოეთით უძევს კავკასიონის მთის უმაღლესი მთავარ მთაგრეხილის შუა ნაწილი, რომელიც ჰყოფს იმიერ და ამიერ-კავკასიას ნუ ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ოსების ქვეყანას, და საქართველოს მიწაზე მოსახლე ოსებს და რომელიც ძველის ძველი დროიდგან ქართველების საკუთრებას შეადგენდა.. მიუხედავათ მთის სიმაღლისა, ამ მთაზე სხვათა შედარებით, ძალიან მარჯვე გადმოსავალი გზები აქვს პირიქითიდგან ჩვენსკენ ანუ საქართველოსკენ. მომეტებული რიცხვი გზებისა ცხენით სავალია- ამ წერილით მინდა გავაცნო ჩვენს მკითხველებს ეს გადმოსავალი გზები და ყურადღება მივაქციო, როგორც საზოგადოებისა, ისე მთავრობისა, რომ ჩრდილოეთიდგან მოსალოდნელ საფრთხის თავიდგან ასაშორებელათ ამ გადმოსავალ გზებს სჭირია გამაგრება და დარაჯი, თორემ, ვინ იცის, იქნებ ყასიდად დარიალის ხეობიდგან მოდიან ჩვენი ქვეყნის მტრები და ნამდვილად კი ამ ქვემო ჩამოთვლილს გზებიდან შემოგვეპარნენ. მე დარწმუნებული ვარ რომ ჩვენი ქვეყნის სტრატეგები უეჭველია ამ გზების მცოდნენიც არიან და მათ დაცვას ეპირებიან, მაგრამ მე ამით გაფრთხილებ ყველა ქართველს, რომ ამ გზებისკენ მყოფ მეცხვარეებმაც და ვაჭარ მგზავრებმაც თვალი დაიჭირონ და მთავრობას შეატყობინონ ყოველივე უჩვეულო ხალხის მოძრაობა და მიმოსვლა ამ მთის ბილიკა გზებით.

1) მამისონის გადმოსავალი, ოეთეს თავზე, მერმე ურმის გზა კავკავისკენ, ეს გზა გადმოდის, ზამთარეთზე, ნაკრეფაზე, ჩასავალზე (რაჭაში), მერე უწერაზე ურმის გზაა, კავკავისკენ დარკოხზე მიდის.

2) ზიკარისა. ს. ქემელთაში ჩამოდის ზრუგუსა და ნარის ხეობიდგან (პირიქით ოსეთი). ცხენებით გადმოდიან. (ზრუგუს ხეობას მაჩაბლები ეპატრონებოდნენ.(

3) როკისა და ჯომაღის გზა ცხენისა, როკიდან გადადის ნარაში, იქიდამ სალუგვერდანაში მიდის. ამ გზას პირდაპირი კავშირი აქვს ჩრდილოეთელ ოსებთან და თვით სამხრეთელ ოსების მთავარი ყურადღება ამ გადასავალ გზასა აქვს მიქცეული. ჩვენებურმა ოსებმა მრავალჯერ სთხოვეს ძველ მთავრობას ამ გზაზე რკინის გზის გაკეთება და პროექტიც იყო, (ვურცელის), მაგრამ ვერ მოესწრნენ; შარშან კი გამოკვლევა მოახდინეს საურმე გზისა, უკვე შეიმუშავეს გეგმა, და მიმდინარე წლის მაისში უკვე უნდა ემუშავნათ ამ დაგეგმილ გზაზე, მუშაობა უნდა დაეწყოთ ჯომაღადგან როკის მიმართულებით, და შეეერთებინათ სალუგრდინისკენ მიმავალ საურმე გზისთვის, ვითომდა ჰინახულის გამოსაზიდად. როგორც ხმა მოდის, მუშაობა უკვე დიდის ხალისით მიდის, და ვითომ 3 მილიონი ფულიც უშოვნიათ ამ გზის ჩქარა გასაყვანად. შეიძლება ეს ჭორიც იყოს, რადგან არა მგონია, რომ ამ გვარი სტრატეგიულის მნიშვნელობის გზების გაყვანა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის ნება დაურთველად მოხდეს, და ყველა ვიგინდარას ალაყაფის კარები გაუღოს შუა საქართველოში შემოსასვლელად და სათარეშოთ.

4) ედისის გადასავალი, ამ გზით ამ ხუთმეტი წლის წინათ გრაფინია უვაროვისა გადმოვიდა პატარა ეტლით, რომელიც ალაგ ალაგ დაეშალათ და ისე ხელით გადმოეტანათ, ამ გზით ხეების ძელებს სარებით გადიტანენ ხოლმე პირიქით ოსებისგან. ეს გზა უერთდება სადგურ კობს,—სამხედრო გზაზე. ამ გზით გადმოვიდა ამ ასი წლის წინად რუსების ცხენოსანი რაზმი ზარბაზნებით, რომელიც შემთხვევით ყინულ გადაკრულ ყელის ტბაში დაიღუპა. მგონი მაისის თვე იყო, ჯერ ისევ ყინულგადაკრული ტბა თოვლით იყო დაფარული. გზის მაჩვენებელი მოსტყუვდა, ზედ შეაყენა რაზმი, ყინული ჩაიტვრა და დაიღუპა.

უწინ ამ გზების დარაჯათ ქართველი მოსახლეობა ყოფილა, ახლა კი იქ ქართველი აღარავინ სცხოვრობს, გარდა მეცხვარეებისა, რომლებსაც ორი თვის განმავლობაში აქ ცხვარი უყენიათ.

ა. დ.

## მილოცვა.

წამებულო საქართველო,
მოგილოცავ, ქრისტე აღსდგა!
შვება—ლხენის, სიხარულის
და განცხრომის ჟამი დადგა.
ამრეზილი ჯინის გუდა
დაიფუქა, მოლბა, ჩადგა...
მშობელ ცაზე ღრუბლის კუპრი
გადიწმინდა, გაქათქათდა.
საქართველო! შენი შვილნი,
შენი ძუძუთ განაზარდი
ყველა ერთად შეგროვილან
ეგზომ—ვეფხვთა შესადარდი,
ლომებრ ბრდღვინავს შენს გარშემო,
რომ გასწმინდონ ეკალბარდი
და მის ნაცვლათ ააყვავონ
ზამბახი და ია—ვარდი.
მტერს ეგონა საქართველო
უშვილძიროთ გადასული
ლალობდა და ხარხარებდა
უტიფარი, თავგასული.
რაც რომ დღემდის ბოროტებით
სისხლი გვწოვა, გამოგვცალა
ნაცვლად ღმერთმა გაამწარა,
გააგონა, გააწვალა.
დაე, ღმერთო სიმართლისავ
ჩაგრულ ქართველთ მიეც ძალა,
რომ სამართლად დაუბრუნდეს
რაც ტლანქ ძალამ გააცალა.

**რ. საჯავახელი.**

---

ამიტომ მთავრობამ ყოველგვარი ნდობა დაკარგა.

ყრილობა სიხარულით ეგებება რეზოლუციას

„დამფუძნებელ კრების არჩევნები ჩვენ არ მიგვაჩნია სამართლიანათ, რადგან ის მოხდა სამოქალაქო ომის დროს და არჩევნები ხდებოდა საყოველთაო ფარული, პირდაპირი და თანასწორი კენჭისყრით, ანუ უკეთ რ.ომ ვსთქვათ-ოთხ კუდიანი ფორმულით, რომელმაც სიხელმწიფო უფსკრულამდის მიიყვანა ამიტომ, ჩვენ მოვითხოვთ ახალ არჩევნებს“

დიდ ოვაციებს იწვევს ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ სამიწადმოქმედო კომიტეტები გაუქმებულ უნდა იქნას და ცნობა, რომ რადა დაეცა.

შედის წინადადება, რომ რეზოლუცია გადაეცეს უკრაინის ნამდვილ პატრონს — გეტმან სკოროპადსკის“. ყრილობა იწონებს წინადადებას.

დასასრულ ყრილობა დიდ მადლობას უძღვნის ყრილობის მომწვევს და სულის ჩამდგმელს კოვალენკოს, აყავთ ხელში და ასე გაყავთ დარბაზიდან.

თავმჯდომარე კრებას დახურულათ აცხადებს და ყრილობაში მონაწილენი მიემგზავრებიან მოედანზე.

**პარაკლისი სოფიის მოედანზე**

ოთხ საათზე მოედანზე თავი მოიყარეს მსხვილ მემამულეებმა, აფიცრებმა, საზღვარგარეთის გაზეთების კორესპოდენტებმა, ადგილობრივმა ჟურნალისტებმა ფოტოგრაფებმა, ცნობის მოყვარე ხალხმა და მლოცველებმა.

ხუთის ნახევარზე სამღვდელოება შეგებება პ. სკოროპადსკის.

სკოროპადსკი ამალით შევიდა ტაძარში. პარაკლისის შემდეგ გენერალი მოედანზე გამოვიდა, სადაც ისევ გადიხადეს პარაკლისი და ხანგრძლივი ცხოვრება უსურვეს გეტმან პავლეს.

**გეტმანის ღრმოტა უკრაინის ხალხს.**

უკრაინის მოქალაქენო!

ყველას ახსოვს უკანასკნელი დროის ამბები, როცა მთელ უკრაინაში სისხლი იღვრებოდა და ახალი სახელმწიფო დაღუპვის წინ იდგა.

ის გადაარჩინა მხოლოდ ცენტრალურმა სახელმწიფოებმა, რომელნიც თავის სიტყვას ასრულებენ და უკრაინის მთლიანობისათვის დაუღალავათ იბრძვიან.

ასეთ დახმარებამ ჩვენ იმედი გაგვიღვიძა, რომ უკრაინაში აღსდგებოდა წესრიგი და ეკონომიური ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგებოდა. მაგრამ იმედები გაგვიცრუვდა. უკრაინის ყოფილმა მთავრობამ ვერ შესძლო საქმე მოეგვარებია,

ანარქია გრძელდება, უმუშევრობა და ეკონომიური კრახი დღითი დღე იზრდება და ერთ დროს მდიდარი უკრაინა შიმშილის პირზეა.

ასეთ მდგომარეობაში, როცა უკრაინას კატასტროფა ელის, მშრომელი ნაწილი აღსდგა და კატეგორიული მოთხოვნილება წარმოადგინა შესდგეს ისეთი მთავრობა, რომელსაც შეეძლოს წესრიგის აღდგენა და მცხოვრებთა მოთხოვნილება დააკმაყოფილოს.

როგორც უკრაინის ნამდვილი შვილი მე გადავწყვიტე გამოვეხმაურო მოწოდებას და დროებით მთავრობის ხელმძღვანელობა ვიკისრო.

ამ აქტით მე ვაცხადებ ჩემ თავს უკრაინის გეტმანათ.

ამიერიდან მწარეს განაგებს ჩემგან დანიშნული მინისტრთა კაბინეტი. ცენტრალური, მცირე რადა და მიწის კომიტეტები უნდა დაიშალოს. მინისტრები და „ამხანაგი მინისტრები“ დათხოვნილი არიან.

ახლო მომავალში გამოიცემა კანონი სეიმში არჩევნების შესახებ.

სეიმამდის კი მთავრობას ვხელმძღვანელობ მე. მოვითხოვ რომ სახელმწიფოში ყველამ დაიცვას წესრიგი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვიხმარ ყოველგვარ ზომებს. კერძო საკუთრების უფლება, როგორც კულტურის და ცივილიზაციის საფუძველი‘ დაცულ იქნება და უკრაინის ყოფილ მთავრობის ყველა განკარგულება გაუქმებულია. მიწის ყიდვა გაყიდვა ნებადართულია.

ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ მუშათა კლასსაც. განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული რკინის გზას. ეკონომიურ და ფინანსიურ სფეროში განახლდება თავისუფალი ვაჭრობა და კერძო ინიციატივას ფართო სარბიელი მიეცემა.

ვხედავ, რომ მძიმე ჩემი მოვალეობა და ღმერთს ვსთხოვ მომცეს ძალა შევასრულო უკრაინის ხალხის წინაშე იგი. მე სრულიადაც არ მაქვს პირადი მიზნები— მე ხალხის სიკეთეს მოსურნე ვარ და ეს ძალა მამოქმედებს,

მოვუწოდებ უკრაინის ხალხს მხარე დამიჭიროს და მომეხმაროს ამ მძიმე საქმეში.

უკრაინას გეტმანი პავლე სკოროპადსკი. ქ. კიევი 1918 წ. 20 აპრილი.

## ანგარიში.

ცირკში გამართული საღამოსი 11-ს მაის 1918 ერ.-დემოკრ. პარტიის სასარგებლოდ.

**შამოსავალი.**

1, ბილეთებიდან და პრემია—3123 მ. 30 კაპ. 2, ორი ამერიკული აუქციონი—12140 მან. 3, ყვავილების სტოლი—432 მან. 4, შამპანიურის და შოკალადის სტოლი—410 მან. 5, პროგრამები—119 მან. 6, ბუფეტი--645 მან. 55 კ. 16,869 მან. 85 კაპ.

შემოწირულებანი: ნ. კეჩუმიძისაგან—70 მან. დათიკო ლორთქიფანიძისაგან—20 მან. ბარაბაძისაგან—15 მან. გოკიელოვისაგან—5 მან. ხეჩინოვისაგან—5 მ. სულ—16,984—85 კაპ.

**გასავალი:**

1, ცირკის წარმოდგენის ფასი—1000 მან. 2, მუზიკა—50 მან. 3, ზურნა—50 მან. 4, აუკციონის მწარმოებელს—100 მან. 5, ბილეტორებს 115 მან. 6, აფიშები, ლეტუჩკები და გაკვრა—76 მან. 7, ბუფეტჩიკს—120 მან. 8, ბუფეტში მომხმარე ავსტრიელს -25 მან. 9, 5 ბოთლი შამპანიური—75 მან. 10, შოკალადი და ყვავილები—164 მან. 11, სხვადასხვა სანოვაგე, ღვინო და ლიმონათი—153 მან. 40 კაპ. 12, წითელი ლენტი და ქინძისთავები—14 მან. 80 კ. სულ—1,943—20 კ.

წმინდა შემოსავალი დარჩა:—15,041 მან. 65 კაპ.

საღამოს გამმართველნი უგულითადეს მადლობას უძღვნის იმათ ვინც თავიანთი შრომით თუ ნივთიერათ დახმარება გაუწია.

---

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკველია.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი, ქუთაისში